შპს „თბილისის პირველი სამედიცინო სასწავლებლის“

2021-2022 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის ანგარიში

ა) შესავალი

განხორციელდა 2021-2022 სასწავლო წლის გეგმით გათვალისწინებული აქტივობების შესრულების მონიტორინგი და შეფასება - გაანალიზდა მოგროვებული ინფორმაცია. აქტივობებზე პასუხისმგებელი და აქტივობების შემსრულებელი პირები წარმოადგენენ სასწავლებლის თანამშრომლებს თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში. 2022 წლის 7 ივნისს დამტკიცებულია სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების ახალი მეთოდოლოგია, რომლის მიხედვითაც სამუშაო ჯგუფის მიერ განხორციელებული სამუშაოების ფარგლებში, ამავე წლის 15 ივლისს ცვლილება შევიდა სტრატეგიული განვითარების 7 წლიან გეგმაში, მომდევნო 2022-2023 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმაზე მუშაობა ამჟამად მიმდინარეობს შექმნილი სამუშაო ჯგუფის ფარგლებში.

ბ) ინფორმაცია მიგნებების თაობაზე

მნიშვნელოვანია 2022-2023 წლის სამოქმედო გეგმის შედგენის სამუშაოები წარიმართოს/გაგრძელდეს სტრატეგიული განვითრების გეგმის გადახედვის შედეგების გათვალისწინებით და გაანალიზდეს წინამდებარე 2021-2022 წლის სამოქმედო გეგმის შეფასების შედეგები.

გ) ინფორმაცია პროგრესის თაობაზე

2021-2022 წლის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობები უმეტესად შესრულებულია. სამუშაოების მნიშვნელოვანი ნაწილი, რაც ავტორიზაციის თვითშეფასების განაცხადის წარსადგენად საჭირო აქტივობებს მოიცავს განხორციელებულია.

დ) ინფორმაცია გამოწვევების და რეკომენდაციების თაობაზე

თუმცა აქტივობების გარკვეული ნაწილი უნდა იქნეს გათვალისწინებული 2022-2023 წლის სამოქმედო გეგმაში, ვინაიდან განხორციელებული სტრუქტურული ცვლილებების გამო გარკვეული სამუშაოების შესრულება განსაზღვრულ ვადაზე გვიან განხორციელდა, შესაბამისად გარკვეული სამუშაოები გადავადდა მოგვიანებით ეტაპზე.

სამოქმედო გეგმაში ახალი მეთოდოლოგიის მიხედვით გასათვალისწინებელია აქტივობის განხორციელებისთვის საჭირო რესურსი დაკონკრეტება, შემსრულებელი პირების მითითება, გარდა აქტივობაზე პასუხისმგებელი პირისა, რომელიც ახდენს აქტივობის შესრულების კოორდინირებას.

სამოქმედო გეგმების შეფასება კრიტერიუმების მიხედვით:

ა) შესაბამისობა:

✓ არის სტრატეგიული მიზნები და ამოცანები ჯერ კიდევ აქტუალური?

სტრატეგიული მიზნების ფორმულირება გასწორებულია სტრატეგიული განვითარების გეგმაში და ყველა მათგანი აქტუალურია მიმდინარე ეტაპზე, სტრატეგიული ამოცანები დაკორექტირებულია და მონიშნულია შესაბამის წლებზე.

✓ პასუხობს სტრატეგიული მიზნები და ამოცანები დაინტერესებული მხარეების საჭიროებებს?

მიზნები და ამოცანები გათვლილია დაინტერესებული მხარეების მოლოდინების დაკმაყოფილებასა და მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებაზე.

✓ რამდენად კარგად პასუხობს სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების აქტივობები და აქტივობის შედეგები პრობლემას, ამოცანებსა და მიზნებს?

✓სტრატეგიული მიზნების მისაღწევად საჭირო ამოცანების შესაბამისი აქტივობების განხორციელება ემსახურება ავტორიზაციის სტანდარტებით დადგენილი მოთხოვნების დაკმაყოფილებასა და შენარჩუნებას.

ბ) ეფექტურობა:

✓რამდენად იქნა (ან იქნება) მიზნები და ამოცანები მიღწეული?

✓რამდენად დროულად მოხდა მიზნებისა და ამოცანების მიღწევა?

სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების მიღწევადობა გაანალიზებულია არსებული და დასამატებელი ადამიანური რესურსის პირობებში ადეკვატური დროის მონაკვეთებში განსახორციელებლად, სასწავლებლის ფინანსური რესურსების მაქსიმალური მობილიზების ფარგლებში.

✓რა ძირითადმა მიზეზებმა გამოიწვია ამოცანებისა და მიზნების მიუღწევლობა (არსებობის შემთხვევაში)?

სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული გარკვეული აქტივობების შეუსრულებლობა გამოწვეულია ადამიანური და ფინანსური რესურსის ნაკლებობით/გადავადებულ რეჟიმში მობილიზებით.

გ) ეფექტიანობა:

✓არის თუ არა აქტივობები ხარჯეფექტური?

✓რამდენად სამართლიანია იმ შედეგებზე გაწეული ხარჯები, რომელიც სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების განხორციელების შედეგად იქნა მიღწეული?

ვინაიდან ხელმღვანელობისთვის სასწავლებლის ავტორიზაციის მოპოვება და ავტორიზაციის სტანდარტების დაცვით საქმიანობის განხორციელება არის პრიორიტეტულია, შესაბამისად, გაწეული ხარჯები გაცნობიერებული და გამართლებულია.

✓რამდენად იყო შესაძლებელი იგივე შედეგების მიღწევა ნაკლები რესურსებით ან სხვა რესურსებთან კომბინაციით?

ნაკლები ფინანსური დანახარჯებით იმავე შედეგების მიღწევა შეუძლებლად იქნა შეფასებული. მატერიალური რესურსების კუთხით მოკვლეული იქნა ყველა შესაძლებლობა და შერჩეული იქნა ის პარტნიორები, რომლებიც შეძლებენ ავტორიზაციის სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისი მომსახურების გაწევას, სხვაგვარად შეუძლებელი იქნებოდა მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა. ადამიანური რესურსების თვალსაზრისით, გაწეული და გასაწევი ხარჯები გამართლებულია, როგორც მიმდინარე აუცილებლობის, ასევე მომავალში წარმატებული ოპერირების საჭიროებისთვის. ამასთან, მაქსიმალურად იქნა ძალისხმევა გაწეული სასწავლებლის არსებული ადამიანური რესურსი გასაძლიერებლად.